

რედაქცია

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მედიკოსის და სტამბაში, პეტროვის სახლებში.
საქონის-მოქმედი
რედაქციაში და სტ. მედიკოსის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисѣ. ВЪ конторѣ редакціи газеты „Дროба“, при типографіи Меликова.
გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთ მუხური.

დროება

ბანსხადემა
მიიღება: ქართლის, რუსულის, სომხურის...
სახელს - ეგებ...
ბანსხადემის ფასი
წელიწადში — 1 მან., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციკროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და გეტით — 4 კაპ.
სუ სპირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ბამოლის კვირკვირით, ოთხშაბათოვლით და პარასკეოვლით

საქართველო

დღიური

პეტერბურლიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ სენატს გამოუცხადებია, ამ მარტის 15-ს, თავის გადაწყვეტილება შესახებ პოლიტიკურ დამნაშავეებისა. 45 დამნაშავეში, ამ გარდაწყვეტილებით, 3 გამართლებულია; დანარჩენი დამნაშავედ უცენიათ, ზოგი იმაში, რომ შეუდგენიათ კანონისგან აღკრძალული საზოგადოება, ზოგი იმაში, რომ ამ საზოგადოებაში მონაწილეობა ჰქონათ, ზოგს აბრალდენ, რომ იცოდნენ ამ აღკრძალული საზოგადოების არსებობა და მთავრობას არ შეატყობინეს და ზოგს კიდევ იმას, რომ ხალხში ნება-დაუთრველ წიგნებს ავრცელებდნენ. ამ დანაშაულობის-და-გვარად, ზოგს კატორგაში სამუშაოდ გაგზავნა გადაუტრეს, ზოგს საპრობილემო დასწყვედვა და ზოგსაც სიმბირში გადასახლება. ალექსანდრე სიციანოვს გადაუწყვეტეს 10 წლის კატორგა, ივანე ჯაბაძე და მამყრელიძე — 5 წლის კატორგა, მახვილი ჩიკვაიძე — სიმბირში გადასახლება. ლეჟენის გამოგზავნენ, ალბათ, არ სკოლდნა, რომ შტანდარტი და შარდაშევიც ჩვენებურები იყენენ, თორემ, უეჭველია, ამათ ბედის გადაწყვეტასაც გვაცნობდნენ.

გარეთ დაბანაკებულს მსმალეთის ჯარს ერთმანეთში ხშირი მისვლა-მოხვლა და პატივობა აქვთო. მსმალეთის ბანაკში მყოფი პირები ამბობენ, რომ მსმალეთის ჯარი (საღდათები) ძალიან მარჯვეო არიანო, ყველაფერი საქმაოდ აქეთ იმართაო, უბრალო საღდათები ყოველდღე ყავას სმენ და საქმელიც ბლომათა აქეთო.
\* \* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ საქმე ანდრეევსკის ქალის დაღრმობის თაობაზე მისზე ადრე არ დაინიშნებოდა. ამბობენ, რომ ამ დღეებში უფ. დ. ჩხატუა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს უფ. ბარბოვსკისთან ყოფილა და გამოუცხადებია სურვილი, რომ ამ საქმის წარმოების პირი უჩვენონ. უფ. თავმჯდომარეს აუსრულებია ბრალდებულის სურვილი.
\* \* \* მასულ კვირაში გამოუშვეს მეტების საპრობილიდამ თ. ბიორგი ჩიჩუა, რომელსაც, თუ ახსოვს მკითხველს, უფ. გამომეძიებელის შიფინაშვილისათვის მუქარის წიგნის მიწერას აბრალდებდნენ; ნუ ჩაუდგები ანდრეევსკის ქალის მოკვლის საქმეს კვალშიო, თორემ შენც მოგკლავო. შამოძიებას აღმოუჩინა ახლა, რომ იმ უსახელო წერილის ხელი არა ჰკავს ჩიჩუას ხელსაო და ამის გამო პროკურორს ეს საქმე მოუსპია.
\* \* \* ივერიის მესამე ნომერი აცხადებს სურვილს, რომ, რადგანაც დამტკიცდაო, რომ მალე ახალი თე-

ატრი უნდა გაიმართოს მთილისშიო, ამისათვის კარგი იქნებოდა, რომ ახლანდელი საზაფხულო თეატრი ჩვენ, ქართველებსა და სომხებს დაგვითმონ ჩვენი წარმოდგენებისთვისაო; „ნუ თუ ჩვენში არავინ არ გამოჩნდება, რომ მთავრობის წინაშე ამის გამო ჯეროვანი შუამდგომლობა იკისროსო?“. მწიფობობა ცხოვრებას ყურით გვაყურებინებს (?), თეატრი კი თვალითაო... და ამის გამო კარგი იქნებოდა, რომ ეს ეხლანდელი საზაფხულო თეატრი მთავრობას გამოვსთხოვოთ ქართული-სა და სომხურის წარმოდგენათათვისო.
პარგი, ჩინებული, სრული თანაგრძობის ღირსი წინადადებაა.
\* \* \* ჩვენ მივიღეთ რაქდამ შემდეგი წერილი; რომელზედაც მუთანისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის ყურადღებას მივაქცევთ:
„მუ მუთანისის სააზნაურო ბანკის გამგეობამ არ მიაქცია ყურადღება დამფასებელთ მოქმედებას, ეს ბანკი, ნაცვლად სარგებლობისა, ზარალს მოუტანს რაქველებს. აი რაშია საქმე: ერთმა აქაურმა მემამულემ ნ—მა ამას წინათ, სწორეთ იმ დროს, როდესაც გარდაწყვეტილი ამბავი შევიტყუეთ შემოხსენიებული ბანკის დაარსებაზე, დაუვირავა სამოსახლო ადგილი მენობებით ჯ—ს, რაზედაც შეუსრულა კანონიერი გირაოების წერილი. ნ—მ იმ დღით ისესხა ჯ—გან ფული მოკლეს ვადით, რომ ეგონა, გასწნისათაწე ბანკისა, მიიღებდა იქიდან სესხს გირაოს ქვეშ

და ამ გვარად გაიადგილებდა ჯ—ის დაქაყოფილებას; მაგრამ წინათ განზრახვამ მიმსმა ვერ იქონია სასურველი შემდეგი.
„ის კიდევ არაფერია, რომ ბანკის გამგეობამ საბუთების მოთხოვნაში და სხვა ცნობების შეკრებაში სწავაღდრო გაატარა; როგორც იყო, საქმე იქამდე მიაწია რომ მამული უნდა დაეფასებინათ. მაგრამ, მამარი ის არის, რომ ჩვენი საკუთარი დამფასებელი რაქველებისაგან უ. ძ. სამხედრო სამსახურდამ არ დაითხოვეს; ბანკის გამგეობამ არც კანდიდატს მიანდო მისი თანამდებობის აღსრულებად და არც სხვა ამოგვარჩევია, და დამფასებელი ლეჩხუმის მახრისა იმ. ბ., რომელსაც განვლილის თებერვლის პირველს რიცხვებში მიუღია მიწერილობა ბანკის გამგეობისაგან, რომ დაუყოვნებლათ მოსრულიყო რაქაში შესაფასებლათ ნ—ის მამულისა, ღლესაც თავის ოთახში განისვენებს.
„მინ უნდა უზლოს ზარალიდამ გირაველებს, როცა ამგვარი მიზეზის გამო იმას მამული ეკარგება?“.
\* \* \* ბორილამ გვეწერს, რომ ვამუქანასკნელ ხანებში ჩვენი უფასო საქალებო შკოლა ისეთს მდგომარეობაში იყოვო, რომ დღე-ღღეზე უნდა დაეხურათო, რადგან ყოველი მატერიალური საშუალება შემოაკლდაო. მაგრამ, ქართული წარმოდგენის წყალობით, ცოტა არ იყოს სული მოიღვაო და იმედირ არის, შემდეგშია არ მოაკლებენ სცენის მოყვარენი ამ მხრით თავის დახმარებასაო.

ვალბონი

ქორე დანდენ \*)

სამ მოქმედებანი კომედია
მოლლიმარისა
ნათარგმანი ფრანგულულიდამ
მოქმედება გიორგი
სცენა პირველი
ქლოდინა და ლჰუბანი
ქლოდინო, დიან, კარგათ მივხედი: მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სულ შენი ბრალი უნდა იყოს; უთუოთ შენ ვისმეს უთხარი და იმ ვისმესაგან ქორე დანდენმა შეიტყო.
ლჰუბანი. არა, ღმერთმანი. მხოლოდ ერთ ვილაცა კაცს უთხარი, და ისიც იმიტომ, რომ იმის კარებიდამ რომ გამოვდიოდი, მაშინ მნახა. როგორც ეტყობა, ამ ქვეყნის ხალხი ძალიან ებედი ხალხი უნდა იყოს.
ქლოდინო. რაღა უთხრა: სწორეთ კარგი შუამავალი ამოურჩევინარი! ძალიან ბედინარი კაცი აუყვანინარი!

ლჰუბანი. პარგი, მეორეჯერ უფრო ჰკვიანურათს მოვიქცევი და უფრო გულის-ყური მიქნება ჩემზე.
ქლოდინო. რაღა დროს!
ლჰუბანი. ნულარ ვილაპარაკებთ ამანე. მომიგდე ყური...
ქლოდინა. რას უნდა მოგიგდლო ყური?
ლჰუბანი. მობრუნდი ცოტა ჩემკენ.
ქლოდინა. პარგი, რა არის?
ლჰუბანი. ქლოდინა!
ქლოდინა. რაო?
ლჰუბანი. მჰ! ბანა შენ არ იცი, რა უნდა ვსთქვა!..
ქლოდინა. არა.
ლჰუბანი. ღმერთო, მომკალი! მიყვარხარ.
ქლოდინა. პარგა გიყვარვარ?
ლჰუბანი. ჰო, დასწყველოს ღმერთმა ეშმაკი! მგონი, რომ უნდა დამიჯერო, რადგან გეფიცები.
ქლოდინა. ძლივს!
ლჰუბანი. საშინელს გულის თანთქალს ვგრძნობ, როდესაც შენ გეხედავ ხოლმე.
ქლოდინა. დიდათ მოხარული ვარ.
ლჰუბანი. რა საშუალებას

ხმარობ ხოლმე, რომ მაგრე ლამაზი ხარ?
ქლოდინა. იმასვე, რასაც სხვანი.
ლჰუბანი. იცი, სრულებით საჭირო არ არის ამოდენა ერთი ბარკალის მოსაწვავათ: თუ გინდა, შენ იქნები ჩემი ცოლი, მე შენი ქმარი და ორივენი ვიქნებით ცოლ-ქმარი.
ქლოდინა. იქნება შენც ისე ეკვიანი იყო, როგორც ჩვენი ბატონი?
ლჰუბანი. სრულებით არა.
ქლოდინა. მე მეჯავრებიან ეკვიანი ქმრები; მე მინდა იმისთანა, რომელსაც არ უკვირდეს არაფერი, რომელსაც ჰქონდეს სრული ნდობა ჩემზე და დარწმუნებული იყოს ჩემს პატისნობაზე და შეუშვოთებლივ მნახოს ოც-და-ათ ყმაწვილ კაც შუა.
ლჰუბანი. პარგი! მე სწორეთ მაგისთანა ვიქნები.
ქლოდინა. იმისთანა სულელობა არა არის რა ქვეყანაზე როგორც დაუნდობლობა ცოლისა და იმის-შეწუხება! აქედან არაფერი გამოდის-რა კარგი; ეს ჩვენ გვამლევს ცუდს ჰაზრს და ხშირათ თი-

თონ ქმრების ბრალია, რომ მიანწევენ ცუდს მდგომარეობას.
ლჰუბანი. პარგი! მე მოგცემ სრულ თავისუფლებას; როგორც გესიამოვნებოდეს, ისე მოიქეც.
ქლოდინა. აი ამისთანა ქცევა უნდა, რომ არ იყოს ქმარი მოტყუებული: ჩვენ გვექნება იმოდენა თავისუფლება, რაც გვესაჭიროება. ასევე წარმოსდგება იმისთანა ქმრისაგან, რომელიც უღებს თავის ქისას ცოლსა და ეუბნება: აიღე რამდენიც გინდა. ჩვენ ეხარჯავთ პატრონს ურათ და ჩვენა გვაქვს სრული თავისუფლება, მაგრამ, თუ გეწყენინებს, მაშინ ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე მივფლანგოთ და არაფერს ვყაირათობთ.
ლჰუბანი. მე ვიქნები ერთი იმათგანი, რომელიც უღებს თავის სუფლათ ქისას. შენ შეგიძლიან ჩემი შერთვა.
ქლოდინა. პარგი! მნახოთ.
ლჰუბანი. მოდი აქ, ქლოდინა!
ქლოდინა. რა გინდა?
ლჰუბანი. მოდი, გეუბნები.
ქლოდინა. ნელა, მე მეჯავრება...

(\* „დროება“, № 31

\* \* ხელონდელ ქალაქის რჩევის სხდომაში, სხვათა შორის, ორს ყურადღების ღირსს საგანზე იქნება მოლაპარაკება:

1) მოხსენება ზამგეობისა იმის შესახებ, რომ მაწანწალა ძაღლების დახოცვას იჯარით მიენდოს ფრანკულს ალლონს.

2) მოხსენება ზამგეობის-პოლიციის ჩინოვნიკებისათვის ჯამაგირის მომატებაზე.

ამას გარდა იქნება სჯა კიდევ რამდენიმე პირის თხოვნაზე, რომ ზამგეობამ დაუბრუნოს იმათ უკანონო აღებული სხვა და სხვა გადასახადი.

მს ნომერი შედგენილი იყო, როდესაც ქალაქში მოვიდა ტელეგრამა, რომ შტაინოვიჩი სენატს აღკრძალულ საზოგადოების უმთავრეს შემდგენელად უცნია და გადაუწყვეტია იმისთვის 6 წლითა და 8 თვით კატორგაში გაგზავნა. შარდაშევს დაბრალდა ამავე საზოგადოების ხაზინადრობა, იმას გადაუჭრეს ხუთი წლის კატორგა.

„დროისი“ კორესპონდენცია

შორაპნიდამ, 4 მარტს. ნეტავი იცოდეთ როგორ დამაფიქრა თქვენმა მოწერილმა სიტყვებმა! თქვენი წერილის სიტყვებმა: „რატომ აღარაფერს იწერებთ?“ ცოტა დაცხრომილი გული და გონება სხვა და სხვა ფიქრებით ააშფოთა და დიდხანს მოსვენება არ მომცემია.

იმდენი ღმერთმა წელიწადი გაგაძლიბოსთ, რამდენი დასაწერი ამბავი ჩვენში ხდებოდა, მაგრამ განა ყველა ამბავის მოწერა შეიძლება? სად მაქვს მე იმდენი თავისუფლება, რომ ყველაფერი მოაწერო, რასაც მე აქ ვხედავ? სად არის ისეთი დროება, რომელშიცა ყველაფრის ამბავის გაგება შეიძლებოდა? მანა მე არ მსურს ყოველიფერი გაცნობო და შეგატყობინო?

მრთელი ორი სამი თვე ვაკვირ-

დები ჩვენი ხალხის ცხოვრებას და ჩემს თავს გაკვირებული ვეუბნები: ნუ თუ ამისთანა ცხოვრება იყო წინეიც? ნუ თუ ასე სცხოვრებდა ხალხი წინეთაც? რამდენი ამისთანა კითხვები იბადება ჩემს თავში, მაგრამ ვინ არის პასუხის-გამცემი?

მე დარწმუნებული ვარ თქვენ ამ სიტყვებზე მეტყვიით: ხალხის ცხოვრება დღეს უმეტესად გაუმჯობესებულია, ვინემ წინეთ იყო. ამის დასამტკიცებლად, ვიცი, მოიყვანთ შკოლების გავრცელებას ხალხის განათლებელად, ახალ სასამართლოების დაწესებას და სხვა ამისთანა ცვლილებებს. მეც დავთანხმებით მაგზე და თქვენთან ვიტყვი, რომ ახალი სასამართლოები ძლიერ კარგი სასარგებლონი არიან, ეგრეთვე შკოლებიც მეტის მეტი სასარგებლონი არიან ხალხისთვის. მაგრამ ეს მითხარით, თუ ღმერთი გწამს, ჩვენი ხალხი სარგებლობს ამ ცვლილებებით თუ არა? რა სარგებლობა ნახა მან შკოლებიდან, რომელიც მათ სიხარულით გახსნეს და დიდ ძალ ფულს ჰკრეფავენ თვის შორის მათ შესანახად?

ახალი სასამართლოების დაწესებაზე ყველანი მოხარული ვიყავით; მასზე, რომ ჩვენი საქმე მალე გათავლებოდა და ისე საუკუნოთ გაუთავებელი არ დარჩებოდა, როგორც წინეთ ძველი წესის სასამართლოებში იყო ხოლმე. შევლანი მევიქვინით მოხარული, რომ სამართალი გვექნებოდა „ჩქარი“.

მაგრამ ზოგან ზოგიერთებისთვის ეს სიტყვა უმნიშვნელო არის. ჰოველი ჩვენგანი იმას ფიქრობდა, რომ ქურდობა, ავაზაკობა და სხვა ცუდ კაცობა მოიკლებდა და აღარ იქმნებოდა; მაგრამ ძრიელ შორ დავგრიხეს ჩვენი ფიქრი: ქურდობამ, ცარცვამ, ცხენის პარვამ, — კაცის კვლამ ერთი-სამათ მოიმატა. იქ, სადაც წინეთ ოცი საჩივარი განცხადდებოდა, დღეს ათასი საჩივარი ცხადდება. ძველ დროში ორ-სამ წელიწადს საქმე გათავდებოდა; ოთხ წელიწადს, თუ

თვითონ სდევდი, მაინც გაათავებდი. დღეს კი მეტი დრო უნდა და ხარჯიც მეტი მიგდის. რაც უნდა მართლად გიჩიოდეს კაცი, ერთი უბრალო სიტყვით შეგიძლიან გაამტყუნონ და ამოძუებული გაისტუმრონ შინ. მხლანდელ დროში ნუ გეშინიან ნუ-რაფრის. შურლობაზე, რომ კიდევ წავისწრონ და ორმა მოწამემ დაგიმტკიცოს, შენ იზოვე ოთხი და ათქმე-გინე, რომ მათთან იყვი და ფიქრი ნუ გაქვს, გაგიშვებენ. უკლი თუ გამართება ვისიმე, ბევრი საშუალება გაქვს უარი უთხრა და არაფერი არ მისცე. თუ მაინც და მაინც გადაგიწყვიტონ, კატორგა მოგიკონ, ადგილ-მამული სხვაზე გადაიტყვი და რა წავართმენ?... მუ მანეთამდე თუ მართებს ვისმეს, თავი დაანებე, თორემ მეტი დაგეზარდება; თრევა კიდევ მეტი იქმნება. ცოტა ნივთი თუ მოგპარა ვინმემ, რომ კიდევაც იცოდე მომპარავი, არ გირჩევ გაამხილო: იმდენს, გათრევენ, რომ ერთი ხუთად დაგეზდენ და ნივთების ამოგებასაც ვერ მოესწრები შენს სიცოცხლეში! სრუ-მოფიცებს ამდენს, რამდენსაც დღეს ხედავ, ვერ ნახავდი ძველ დროში.

შინ მოსთვის იმ ნაკლულეგანებას, რასაც დღეს ვხედავთ ჩვენ. მსებები იყო თუ არა ძველ დროში? მითხარით, თუ ღმერთი გწამს, რითი სჯობია ახალი სასამართლოები ძველს.

დააკვირდით ერთი სოფლის ხალხს და მათ მანთვას. პირველ შემთხვევაში ყველას ეშინოდა ცუდათ მოქცევისა. არც კი იცოდნენ — თუ როგორ უნდალა ქრთამის აღება. დღეს ისე დახელოდნენ, რომ მეტი აღარ შეიძლება, ვგონებ. ათს-რვა საზოგადოებაში ერთი უჩასტკის ნაჩაღნიკი იყო მართო. რამდენიც უნდა აეღო ქრთამი ათას მანეთს არა-სოდეს არ აღემატებოდა; დღეს თვითულ საზოგადოებაში ხუთს მანე-დამდე აიღება ქრთამი. სოფლის მოხელეებს დაყენებისათნავე ეუბნებიან; „მაი თქვენი ბრალი, თუ ქრთამი დაგამტკიცდაო!“ ისინიც ისე

ოსტატურად არიან შეწყვენი, რომ არასოდეს მოწმეებს არ დასწრებენ! მრთი უბრალო საქმეზე, რომელიც არ ღირს ოც მანეთად ყრილობას ადგენენ და მრთელი დღე ხუთას კომლს კაცს უქმათ ელუბება. მითო კაცს, რომ დღეში ათი მასური ჩაუგლო ქირა რამდენს ფულს შეადგენს? შილობა დგება უსწავლელი ხალხისაგან. ხშირად დიდი დამ სალამო-დი ყბელობენ, სალამოზე შინ მიდი-ან და საქმეს კი გაუთავებელს უშე-ბენ.

არ მინახავს ქვეყანაზე არც ერთი უწყება და თანამდებობის პირი, რომ რევიზია არაფერს უშვებოდეს. ჩვენში სოფლის მოხელეებისთვის რომ რევიზია მოეხდინოს ვისმე, არ გა-მიგონია. რამდენს იღებენ ფულს და რაში ხარჯვენ — კაცმა არ აცის! შესავალ-გასავლის წიგნები ეძლევათ, რომელშიაც ფულს ახდევინებენ, მაგრამ შივ ვერაფერს ვერ ნახავ ჩაწერილს. ამას წინეთ ერთმა ახალმა მამასახლიმა შენიშნა, რომ მისი მოადგილის ხელში კანცელარიის ფულები ბოროტად მოეხმარათ; მოახსენა თავის უფროსს და ნაცვლად მისა, რომ რევიზია მოეხდინათ და დამნაშავე დაესაჯათ, მამასახლისს უთხრეს. „წადი შენ და რაც ფულე-ბი შემოვიდეს ისინი ცუდათ არ და-ხარჯო, და შენ მოსვლამდის რაც საქმე ყოფილა, შენ რას დავებო, შენ შენთვის იყავიო!“

მადლობა ღმერთსა, რომ სოფ-ლის სუდიებს კიდევ არ გაუფიქოთ თავის უფლება, თორემ უარესად მო-იქცევიან; მაგრამ ყველა ანგარიშებო არ აქვს გაგებული, ან კი ვინ უნ-და გაამტყუნოს საცოდავები! არა-ვითარი სწავლა მათ არ მიუღიათ; უსწავლელ კაცს თუ კარგი ხნო-ბაც არ აქვს, ის ხომ ოთხ-ფეხზე უარესია!

თქვენ მეტყვიით აი მაგისტვის არის შკოლები კარგი და როდესაც ამ შკოლებში ნასწავლები ბევრი გვე-ყოლება, მაშინ კარგი მოხელეებიც გაგიჩნდება! მს იმედი ფუქია. რა

გობრობა!

ქლოდინა. დამანებე თავი, მე არ მეჭირება ხუმრობა.

ლჰუბანი. ქლოდინა!

ქლოდინა. (აღდებს ლჰუბანს). ჰე!

ლჰუბანი. აჰ! რა შეუბრალებელი ხარ საწყალი ხალხისა! არა გრცხვენიან მაგისტანა. ლამაზი ხარ და არ გინდა, რომ გვალერსონ?

ქლოდინა. სხვირში დავარტყამ.

ლიუბანი. მჰ მოუღრეკელო! ბარბაროსო! შუ რა საძაგელია, ვინც შეუბრალებელია.

ქლოდინა. ძალიან მანთავისუფლებ შენ.

ლჰუბანი. რა მოგევა, რომ ცო-ტა ახლოს მიმიშევა?

ლიუბანი. მრთი პატარა კო-ცნა — ჩვენი ქორწილობის ნიშანი.

ქლოდინა. თქვენი მოახლე გახლავარ.

ლჰუბანი. ქლოდინა, გვხვეწები. მეტი არა მინდა!

ქლოდინა. ჰე! არა, ერთხელ კიდევ მომასწრეს. შვიდობით წადი უთხარი მიკონტს, რომ მალე მიუ-ბრუნებ თავის ბარათს.

ლიუბანი. შვიდობით, შეურ-ყველო სილამაზევ.

ქლოდინა. მრთობ სასიყვარუ-ლო სიტყვა.

ლიუბანი. შვიდობით, კლდე, კენჭო, თლილო ქვავი და სულ რაც უმაგრესია ქვეყანაზე.

ქლოდინა (მარტო). წავალ ბა-დავცემ ქალბატონს ხელში. აი თა-ვისი ქმრით: გამშორდით, მოვიცა-დით, მირამ მარტო-მარტო დარ-ჩება.

ს ც ე ნ ა მ ე ო რ ე

შორჰ დანდენ და ანჰელიკა

შორჰ დანდენ. არა, არა, ისე ადვილათ არ მომატყუილებენ; მა-გრამ მე დარწმუნებული არა ვარ, რომ რაც ვაღმომცენ, მართალი იყოს; მე უფრო უკეთესი თვალები მაქვს, ვირამც ფიქრობენ და თქვენმა სი-სულელემ მე სრულებით სარ დამი-ბნელა ეს თვალები.

ს ც ე ნ ა მ ე ს ა მ ე

ქლოდინა, ანჰელიკა და შორჰ დანდენ

ქლოდინა (თავისთვის). აჰ! აგერა, მაგრამ ქმარი თანა ჰყავს.

შორჰ დანდენ (არ ხედავს ქლო-ტანდს). შენს ცხვირ-პირის გრესას რომ ვხედავ, მე თან-და-თან უფრო ვრწმუნდები იმ სიტყვებში, რომელ-საც მეუბნებოდნენ და იმ ცოტაპა-

ტივის ცემას, რომელიც თქვენა გა-ქვსთ იმ კავშირისთვის, რომელიც გვაერთებს ჩვენ... (ქლოტანდრა და ან-ჰელიკა აძლივენ ერთმანეთს სალამს). ღმერ-თო ჩემო, გაათავეთ თქვენ სალამი, მე სრულებით ამ გვარ პატივის ცე-მაზე არ გელაპარაკები, და თქვენ დაცინვის მეტი არა იციოთა.

ანჰელიკა. მე დაგცინით გა-ნა? სრულებითაც არა.

შორჰ დანდენ. მე ვიცი და ვიცნობ თქვენ აზრებს... (ქლოტანდრა და ანჰელიკა კიდევ აძლივენ სალამს ერთ-მანეთს). ძიღვე! რა! მავაზაფოთ და-ცინვა. მე ძალიან ვარგავიცი, რომ თქვენი მალალ შთამომავლობის მი-ხეზით მე უმდაბლესად მთვლითო პა-ტივის ცემა, რომელზედაც მე ღვე-ლაპარაკეთ, სრულებით მე არ შე-მეგება. მე გეუბნები ქორწინების პატივისცემაზე. (ანჰელიკა ანიშებს რაღაცს ქლოტანდრს). აქ მხრების აწევა არ არის სრულებით საჭირო. გეო-ნებ, რომ სისულელიც არ ვამბობ.

ანჰელიკა. არც კი მომფი-ქრებია მხრების აწევა!

შორჰ დანდენ. ღმერთო ჩე-მო! ჩვენ ძალიან ნათლათ ვხედავთ. მრთხელ კიდევ ვინელმეოვრებ, რომ

ქორწინება ისეთი კავშირია, რომელ-საც ყველაგვარი პატივის-ცემა სჭი-რია და რომ ძალიან ცუდია თქვე-ნი მაგვარი ქცევა (ანჰელიკა უმწეს-თავს ქლოტანდრს). ღიან, ღიან, ძალიან ცუდია თქვენთვის. თქვენ კი მარ-ტო თავს იღებთ და ცხვირ-პირს მი-გრინხავთ.

სამიოსიულოზ

ანჰელიკა. მე? არ მესმის სწო-რეთ — რა გინდათ მითხრათ მაგით!

შორჰ დანდენ. მე ძალიან კარგა მესმის რასაც გეუბნები და თქვენ ზიზღს კარგა ვგრძნობ. თუმ-ცა მალალ შთამომავლობისა არა ვარ, მაგრამ იმ გვარიდან ვარ, რომელსაც არაფითარი საყვედური არ შეჰყვრის და დანდენის სახლობა... (ანჰელიკა თავს ითრებს იმდენ უწყს ძე

ქლოდინა დანი (ანჰელიკის უყან; იღ-უფრეწველი შორჰ დანდენისაგან, უეზუნება). მრთი მინუტი სალაპარაკოთ.

შორჰ დანდენ (გან ხედავს ქლო-ტანდრს). ქალინი ნობ ნოტიანი ციპი დე

ანჰელიკა. რა? მე არაფერს ვამბობ.

(შორჰ დანდენ, გარს შემოუფლის თმ) ცოლს, ქლოტანდრა გავა თავის დაკრია-ს (დასასრული მე-II მოქმედების შემდეგ)

მზგავსათ ამასაც გეტყვი; მაგრამ ამასვე ლაპარაკი შემდეგისთვის გადავდეთ. I სიბიერი I სიბიერი I სიბიერი I სიბიერი I სიბიერი X.

# უსმო ქვეყნები

მოკრძობის სახმი

„დროების“ წინანდელ ნომერში ჩვენ სხვათა შორის განზობდით, რომ თუშქა კი სიტყვით მსურთ, რომ ომი არ იქნეს და ის უკმაყოფილება, რომელიც სლავიანების სათავადოთა გაჭირებულ მდგომარეობისა გამო, რუსეთსა და მსამალოს შორის არის სისხლის დაუღვრელათ გათავდეს, მაგრამ საქმით კი სულ სხვას სჩადიან-თქო. ამის დასამტკიცებლათ დღესაც მოვიყვანთ მაგალითს:

ამ ორი კვირის წინათ სტამბოლში ორჯერ ჰქონათ ჩივილი გენერალური შტაბის საუკეთესო აფიცრებს, რომელზედაც, სხვათა შორის, საქმის მკოდნე იმისთანა პირებიც ყოფილან, რომელნიც რუსეთის მტრებს ეძახიან თავიანთ თავს. ამ სტამბოლზე გაუხილავთ მსამალოს მოქმედების პლანები, რუსეთთან მომავალის ომის დროს. სამი პლანი ყოფილა წარმოდგენილი: ერთი გენერალური გენერალი ძლავსაგან, რომელიც ჩვენ შიგნითგან ერთს წინანდელ ნომერში გავაცანით, როგორც უფასსტიკის მტერი სლავიანების და განსაკუთრებით რუსეთისა (1848 წლისათვის), მეორე ინგლისის პოლკოვნიკის მალენტინ ბეკერისაგან და მესამე პლანიც აესტრიის კავალერიის კაპიტანის ჭონბალდისი ყოფილა. მს სამი პლანი, სამივე სხვა ქვეყნელებისაგან შედგენილი, როგორც ერთი ფრანკულული გაზეთის სტამბოლელი კორესპონდენტი ამტკიცებს, ყველაფერში ერთნაშებებიან ერთი ერთმანეთსაო. პლანების შემდგენელი ურჩევენ პორტას, რომ მთელი მისი სამხედრო ძალა, რომელიც მას ეხლა ჰყავს და შემდეგშიც დაამზადებს, ვაჟყას ორათ—ერთი ნაწილი დააბანაკოს სოფიის მახლობლათ, რომ აქედამ აღერანპოლში გასასვლელი გზა შეუკრას მტრს და მეორე ნაწილი მსამალოს საუკეთესო სიმაგრებთ შორის—მარშას, სილისტრიას, რუსჩუკსა და შუბლას შუა დაბინაოს. ამ უკანასკნელი პრემის დანიშნულება კი ის იქნება, როგორც შემომოყვანილი პლანები ამტკიცებენ, რომ მან გზა მოუჭრას რუსებს და არ გადაუშვას ისინი რუსჩუკსა და სილისტრიას შუა მდინარე ლუნიანზე. ამისთანა მოასზრებებისა და პლანების შინჯვაში არიან მსამალოს საუკეთესო სამხედრო ძალაო, ამბობს ზემონახსენები ფრანკულული ზეთის კორესპონდენტი, მაშინ, როდესაც თავათ აბდულ შამიდი კი სულ მხვა ფიქრსა და დარღვიამარტო ერთი გავიანება, რომ ომი უნდა იქნესო, ამას აციებებს და აცხელებს თურმე. როგორც მას, ისე უმთავრესს ვიზირს მითხზად-ფაშის მოადგილეს, და ბეროს სხვას, გულდითადი სურვილი აქვსთ, რომ არ იქნეს ომი. ამ სტამბოლში ხმამისის, რომ სულთანს განზრახვა აქვსო, მოაწერენ ორივე მხარე ხელს სერბიასა და მსამალოს შუა მთრეების პირობებსა თუ არა, მაშინვე ნოტა გაუგზავნოს ექვსს უმთავრესს მეროპის სახელმწიფოებს, სადაც ის გულწრფელათ და გულდითაც გამოსთქვამს თავისი სახელმწიფოს მშვი-

ბიანობის დაცვის სურვილს და იმ რეფორმების სისრულეში მოყვანის შედეგობას, რომელიც მან დაჰპირდა თავისს ქვეშევრდომებს. „მოდონდ დიონოვოს რუსეთში თავის ჯარები, დააბრუნოს შინ და მსამალოც მაშინვე გაუშვებს თავის ბაზიზუშუებს და შეუდგება რეფორმების სისრულეში მოყვანას.“ — პორტას პანდენდი კი უფრო იქნეულის თვალთ უყურებს სულთანის მომავალის ნოტის შინაარსს და ამბობს, რომ პორტა იმიტომ იკატუნებს ასე თავისაო, რომ მეროპის გული მოიგოსო.

## ოსმალეთი

მრთს ინგლისურს გაზეთში იწერებინან სტამბოლიდამ, რომ იქ ამჟამათ ძრიელ ბევრი მსამალელები და ამათ შორის ბევრი წარჩინებული კაცები ღარწმუნებით და აშკარათ ლაპარაკობენო, რომ ჩვენი ხალხის სიღარიბე, უბედურება და განუწყვრებელი არეულობა, სულ ჩვენი სასახლის შთამომავლობის უნიკობისა და უძლურების მიზეზი არისო და ამიტომაც, რომ ბოლო მოეღოს ამისანა მდგომარეობას, უთუოთ საქირო არის სულ გამოვსცვალოთ და რომელიმე სხვა შთამომავლობიდან ავირჩიოთ სახელმწიფოს მოთავე პირიო. ამ პირების ჰაზრით, დღევანდელი სულთანი, მისი უმცროსი ძმა და აბდულ-აზისის შვილი პრინცი იზხედინი გადაყენებულნი და სახელმწიფოდამ განდევნილნი უნდა იქნენ. საზოგადოთ, ამ კორესპონდენტის სიტყვით, სტამბოლელები ეხლა ისეთს აღელვებულ მდგომარეობაში არიან, რომ ძრიელ ადვილი მოსალოდნელია იმისანა არეულობა, რომლის მგზავსი ჯერ არ უნახავთ აქაო. — რადგან ეხლანდელი სულთანის მონათესავეში ვერავის ვერ ჰხედინ იმისანას, რომ შეიძლოს სახელმწიფოს მმართვეა, ამისათვის უნდათ დანიშნონ ვინმე მეკვის ხალიფად და სულთანობა კი ან სულ მოსზონ და ან დასტოვონ ისევე, მაგრამ ვისაც ამოირჩევენ, ერთობ მცირედი უფლებები კი უნდა მისცენ. — სხვათა შორის ეს ახალი სულთანი არამც და არამც სასულიერო საქმეებში არ უნდა ერეოდეს. — თუშქა ერთობ ძნელია ეს პროგრამა, ამბობს კორესპონდენტი, მაგრამ თუკი რაიმე გარემოებით სტამბოლელების ყურადღება ამ შინაგან საქმეებზე არ იქნა და შორებულთაო, ან თუ მან რუსეთთან ომი არ აუტყდათ ძრიელ მოსალოდნელია, რომ უთუოთ რაიმე მოხდება—სცდიან მაინც, არეულობას მაინც მოახდენენ უთუოთ, თუშქა რომ მიზანსაც ვერ მიადწიონ.

— სომხების პატრიარხის ნერსისის სამსახურიდამ გამოსვლაზე, აი რას იწერებინან ერთს სამზღვარ გარეთის გაზეთში. თავის დათხოვნის ქალაქში, რომელიც ნერსისს სულთანისათვის მიურთმევიან, ის აგონებს სულთანს—თუ რამდენჯერ უთხოვნია მას მმართველობისათვის სომხების მფარველობა ოსმალების შევიწროებისა და წვალებისაგან, მაგრამ ყოველთვის უყურარღებო დაუტოვებიათ მისი თხოვნა. რადგან მე არა მაქვს იმედი, რომ შემდეგშიც რამე ყურადღება იქნება მიქცეული ჩემს თხოვნაზე, ამისთვის არ შემიძლიან, რომ ჩემი მოვალეობის აღსრულება განვაგრძო და გთხოვთ გამოშრათ—ამბობს თავის თხოვნაში ნერსისი. — ბოლოს ის აუდიენციას თხოულობს სულთანთან, მაგრამ არც დათხოვნაზე და არც აუდიენციასზე

მას ჯერ არაფერი პასუხი არ მოსვლია.

## იტალია

რომში 12 მარტს, როდესაც ახალი კარდინალები კურთხევა იყო, პიო მეცხრეს წარმოუთქვამს არაჩვეულებრივი დიდი სიტყვა და დარიგება მიუცია ამ ახლად ნაკურთხი კარდინალებისათვის. პიოს სხვათა შორის უთქვამს, რომ იტალიამ იმდროს დანიშნა რომიო, როდესაც ხალხი ღატაკსა და საცოდავს მდგომარეობაში იყო. მას ჩამოუთვლია იტალიის ყველა ის კანონები, რომელნიც პირ-და-პირ ეკლესიის წინააღმდეგ არიან გამოცემულნი და თან გამოსთქვა დიდი მწუხარება, რომ იმას ამ კანონებმა მოუსპეს კათოლიკე ეკლესიის მფარველობა და მართვა და ის ღონის-ძიებაც, რომლითაც მას დღეს შეეძლო საზოგადოების დახსნა იმ გარყვნილობისაგან, რომელშიაც ის ე. ი. საზოგადოება დღემუდამ იფლებო. — ჩემს სამწყსოში თავისუფლათ მოქმედების ნება აღარა მაქვს, მაგრამ შეირიგება მაინც ყოველად შეუძლებელია. — დასასრულს, პიო მე-IX დანიშნა იქ შეყრილი თავისი სასულიერო შვილები, რომელიც დღეს თუ ხვალ თავიანთ სამწყსოში უნდა დაბრუნებულიყვნენ და უთხოვნი მათთვის, რომ ეცადნათ კათოლიკე ეკლესიის მფარველობისა და შეწვევისათვის იმ სახელმწიფოებში, სადაც კი ისინი დანიშნულნი არიან, რომ ყოველი ღონის-ძიება ეხმარათ შემძლე პირების თანაგრძობისა და გულის მოგებისათვის.

— ამ რამდენიმე დღის წინათ, ნეაპოლში მსამალოს კონსულის მითხზად-ფაშის პატივისცემისათვის დიდი მეჯლიში გაუმართავს. მს ოფიციალური წვეულება, რომელიც უთუოთ მსამალოს თაოსნობით მოხდა, ამტკიცებს, რომ სულთანი სულთნობით არ არის მითხზადზე ისე გამწყვრალი, როგორც ამას ბევრი ჰფიქრობს; წინეთ ეგების იყო, მაგრამ დღეს ეტყობა, რომ ეს რისხვა შესუსტებულა. მთელი ნეაპოლის წირჩინებული დიდ-კაცობა მიპატივებული ყოფილა ამ მეჯლისში. თავათ მითხზადი მეტი არ შეიძლება ისე ხალისად ყოფილა და ყოველგვარ კითხვაზე, რაზედაც კი ვისვანაც უნდა ყოფილიყო, დიდის სიამოვნებით და ზრდილობიანათ ამღედა თურმე პასუხს. სხვათა შორის უთქვამს, რომ მსამალოსა და რუსეთს შუა შეუძლებელია, რომ ომი არ იქნესო.

## წერილები

ბატონო მეგაზეთე!

მრთი ახირებული საქმე, მოხდა ჩვენში და ნება მომეცე მოგახსენო. ამას წინეთ, დიდი ხანი არ არის, პორკურორი არის თუ ვილაცა მოვიდა ჩვენს მირონის სულში და რალასაც რამეებს დაუწყო ჩხრეკა. შეიქმნა ერთი ფაცა-ფუცი. დავესიენ პრისტავებისაგან გამოგზავნილი სახელოვანი აზნაურის შვილები და დავიწყეს კვიტანციების თხოვნა, რომლებიც პრისტავებისაგან მოცემული გვერდა ფულის მიღებაზე. მოგვხსენებათ პრისტავები უფულოთ არას აკეთებენ; ცხენებს მივგვრით, ძლიერ კარგა გაუმასპინძლებით, ბოლოს კარგა ბლომათ ფულებს გადაგვანდევინებენ და წაბრძანდებიან. დავიწყეს თხოვა იმ კვიტანციების;

გვითხრეს რალაცა შეგვეცა იმ კვიტანციებში და იმას რომ გვეცა ჩვენში, ისევე დავიბრუნებთ ქვეყნებს არ-კი გავგაბრიყვეს რამოდენიმე გლენები და მივეცთ კვიტანციები! — სამ დღეს იქით კვიტანციები უკან-ვე დაგვიბრუნეს, მაგრამ სულ გამოცვალათ. ძველ კვიტანციებში რომ თუთხმეტი ან ოც-და-ხუთი მანეთის მიღებაზე ეწერა ხელი, დღევანდელ დაბრუნებულ კვიტანციებში სწერის სამი მანეთი, ოთხი და ხუთი!

შნლამიგნდით, რომ მეტი ფული გამოურთმევიათ თურმე, მაგრამ რალას უზამთ ვხლავ?

შინც ეს მოახდინა, გავიგეთ ბოლოს; ის არც პრისტავი ყოფილა, ისე ხათრის გულისათვის ჰქონებია მინდობილი საქმეები, და იმიტომ გველევდა თურმე.

ნეტავი იცოდეთ ჩვენი ამბავი; ჩვენ რომ ცხენებს გამოგვაყვანინებენს არაფერს არ გვაძლევენ და ჩვენ ცხენებზე პირიქით პრაგონის ფულს კიდევ ჩვენ გვახდევინებენ. ამბობენ ასე გვაწერია ჩვენს წიგნშიაო. ჩივილს ვაპირობდით და ვხლაც ვაპირებთ, მაგრამ ის უმფროსის ბატონის ნათესავი ყოფილა და ვაი თუ საქმე უფრო წაგვიხდეს. ჯერეთ შერი უნცროიც არ უნდა გყავდეს მომდურე ული, თორემ ამისთანა ბატონის გადამტერება, რასაკვირველია, ცუდი არის. იმას ყოველთვის შეხედება ჩვენი საქმე და ამისი გვემინან.

ამისთვის გთხოვ ჩასწეროთ თქვენ გაზეთში, იქნება წიკითხოს ვინმე და ვინმემ ღვთის გულისათვის გამოძიება დანიშნოს ამ საქმეზე; ამისთანა ძველი კვიტანციებში კიდევ ბევრი დაგვრჩენია შინ.....

მოგია ბავშვებიდამე შორანის მახრა, 11 მარტს.

შუალო ჩედაქტორო!

თქვენს პატივცემულს გაზეთში დაბეჭდილია ცნობა, ვითამც „17-ს წარსულს იანვარს უცებ შევედო მასწავლებლების ოთახში და სიციფეში“ ისინი გარეთ გამოვრეკე. მე დიდათ დავამდაბლებ თავსა, რომ ამისთანა სიტურეს რიგინი პასუხი მივსცე; მაგრამ სიმაართლის აღსადგენათა მინც ვალდებულათ ვხდი ჩემს თავსა, რომ შეგატყობინოთ ნამდვილათ როგორ იყო ეს გარემოება:

მე უ. მასწავლებლებისათვისს მქონ და დანაშნული დასასვენებელ ოთახათა ჩემი საკუთარი კაბინეტი, რომელსაც შესავალი კარი აქვს ხელიდგან; მაგრამ რადგან უ. ჰ. ლორთქიფანიძემ დაიწყო ჩემთან უკმაყოფილება სამსახურისა გამო და იმან ამასზე ზედ მოაყოლა თავისი უზღველობაცა ე. ი. შემოდოდა ჩემთან ტალახიანი კალკიმებითა, გაუწულო პალტოთი და დაუყოთხავათ მიშქონდ-მოშქონდა სახელმწიფო წიგნები (პასუხის-მგებელი მე ვარ), ამისთვის თავის გასაფთხილებლათა, რომ ჩვენში შეფოთი არა მამხდარიყო-რა, დაუნიშნე უ. მასწავლებლებს სხვა ოთახისევე ჩემ სახლში წმინდა, თბილი, სინათლიანი, განსაკუთრებითი შესავალი კართა. ამ ჩემ განქარგულე-ბაზე უ. ლორთქიფანიძე დიდათ ამიხიდა და ჩვეულებრივ დაიწყო დაბეჭდვა ჩემს ოთახებში. მე ვსთხოვე, რომ თავი დამანებოს და იყვეს თავისათვის მოსვენებულთა მასწავლებლების ოთახში; ამასზე იმან დამიწყო ყვირილი და მუქარა—გაზეთში დაგაბეჭდებო; მე იმის მუქარისა არ შემიშინდა, მაინც კიდევ ვსთხოვე ვადიდეს ჩემი სადგომიდან მასწავლებლების ოთახში, რაცა ამასზედ უ. ლორ-

თქიფანიძემ კიდევ დაიწყო ყვირილი და მუქარა ჩემ ცუდშიღიში, მიზინ მე დაეფუძნე ჩემს მოსამსახურეს (და არა ნათესავსაც, რომელიც მე ზუგდიდში არა მყავს) მისი უწყსოების და ამოწმებლათა. შმაღლობ ამ შემთხვევასა, უ. ლოსთქიფანიძე უტყუე მამშორდა თავის ნებითა.

ზედამხდაველი ზუგდიდის სასწავლებლისა მიხედვით დიდებულიე მარტის 15-ს, ზუგდიდი.

კამკასიის საბავიო ინტიტუტის

მშობიარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებენ.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30-50 მანეთამდის არის.

მიღება ავთამყოფი ქალებისა და ქმაწვილების.

ქალის ავთამყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11 მდინ—დოქტორი ანანოვი.

მთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდან 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დან 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საქმაწვილო ავთამყოფობისათვის.

ხუთშაბათობით 11 საათიდან 12-მდინ და კვირობით 10-დან 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავთამყოფობას არჩენენ. ამ განყოფილებაში საზოგადო ოთახში ავთამყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ. ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

პოვენის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღისხვე 10 საათამდინ.

მ. რ. შაბათს: ექიმი მინკიევიჩი—ხირუგულ ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

სამშაბათს: მერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მამამშევი—თვალის ექიმი.

მთხშაბათს: ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფ., ძიუხარინცი—ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხუთშაბათს: მერმიშევი შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პარაკევის: ლისიცივი და ასატუროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის და მინკიევიჩი—ხირუგულისთვის. შაბათს: მერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფი. ძიუხარინცი—ყურის და ხირუგულ ავთამყოფობისათვის და მამამშევი—თვალის ავთამყოფობისათვის.

განსხალებანი

მიჯარადრი ქალაქის ცხენების გადასახადისათვის თფილისის მეორე გილიდის ვაჭარი ხეჩო აბაზისა და აბაზოვი ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ვისაც თავის საკუთარის საჭიროებისათვის ჰყავთ ეკიპაჟის ცხენები, აგრეთვე საბიჭრო ფაეტონებისა და დროშების ცხენები და ტვირთის გადატანისათვის, უნდა შეემოიტანონ ჩემს კანტორაში გადასახადი, იმ კანტორაკტის ძალით, რომელითაც თფილისის ქალაქის მამყეობა შემეკრა მე ამ თებერვლის 11-ს სამის წლის ვადით, ე. ი. ამ 1877 წლის 1 იანვრიდან ვიდრე 1880 წ. 1 იანვრამდე. ჩემი კანტორა იმყოფება მე-6 უჩაშტკაში, 1 განყოფილებაში თავად ბებუთოვის სახლებში, მათრის მაედანზე, საიდნაც ჩემგნით დაყენებულის, პირისაგან (პოვერენისაგან) მიიღებს ფულების შემოტანის კვიტანტისა ჩემ ხელმოწერილს. ჩემი კანტორა გახსნილია დღის 8 საათიდან საღამოს 5 სათამდინ.

LA VELOUTINE (ველუტინი) ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უჭაროლი), ბისშუტით გაკეთებული. იეთი ზედმოკმდება აქვს დამიანის ხორცი კანზე, რომ ალობს და ახლოგანდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. მანს ეყვრება და არა სჩანს. შ. ჭაი — გამომგონი pommade satin (ატლანის კომადა) ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუკლება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს. 9, Rue de la Paix, Paris 156-112

ანგარიში სხანძრის გამსახებელ-შემანახველი ანგანაგობისა, (1876 წლის) (წესდება ანგანაგობისა დამკვიცდა 19 იანვარს, ხოლო მოქმედება იწყება 1 იანვრის 1876 წ.) შემოსავალი: ხასავალი: მასესხებული 73 ანგანაგზე 1,604-სარგებ. ვადას წინ ვადას. სესხებზე — — — 50-სასარგებლოდ შემოტან. — 80-სარგებ. სასარ. შემოტანისათვის — — — 30-ფულისა — — — 27-67-სამმართველო ხარჯი — — — 27-67-სულ — 1,712-47 1877 წლის 1-ს იანვრისათვის ირიცხებოდა: მასესხებული 52 ანგანაგზე 1,375-ზარალი — — — 51-ძირს დარჩა ნაღდი ფული 27-51-სულ 1,402-51 საზოგადო კრების დადგინებისამებრ 2-ს იანვარს 1877 წელს წმინდა მოგებრამ, თანხმად წესდების 70 მუხლისა, გადირაცხა: სათადარიგო თანხაში 19 მან. 7 კაპ; 1876 წლის ხვედრების მოგებად — 75 მან. 19 კაპ. თავსჯდომარე რჩევისა ალექსანდრე თ. ჯაყელი თ. ლ. მ. შიფანი (თ. მ. შ. ბელოვანი რჩევის წევრნი: მ. ა. შარაბიძე მღობი ბ. შიფანი მღობი ს. შიფანი ნამდილოთან სწორ არს გამგებლობის წევრი — — — დავით ნანუკვი

ანგარიში სააუა-ენისლის გამსახებელ-შემანახველი ანგანაგობისა 1 თებერვლიდან 1876 წლის 1 იანვრიდან 1877 წლისამდე შემოსავალი: წილის ფული — — 1245 80-სარგებელი დაქერილი გასესხების და ახალი ვადის მიცემის დროს — — — 202 44-ღებრუნებული სესხი — 1275-ჯარიმა — — — 72-შემდეგ აღებული ვალი 1000-ჯამი — 3723 96 1-ს იანვრისას 1877 წელს არის: წილის ფული — — 1245 80-შემდეგი ვალი — — — 1000-წმინდა მოგება — — — 120 95-ჯამი — 2366 75 თავსჯდომარე რჩევისა თ. შიორგი ჯორჯაძე წევრნი ივანე როსტომოვი (თ. იოსებ ჯორჯაძე ივანე ლათაშვილი მდივანი) მდივანი: მარკ სტეფანოვი ბიგოლა არჯაფანაშვილი ნიკო მჭედლიშვილი სვიმონა ზეჩიაშვილი წევრნი რჩევისანი: მამგებ: მარკ სტეფანოვი მდივანი: ნიკო მჭედლიშვილი

Table with 4 main columns: I, II, III, IV. Rows include: I. შოთილამ მიღის: მდესისკენ—ხუთშაბათს დღით. სტამბოლს—კვირობით, დღიას. II. მდესისკადამ: შოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. ვსაათ. სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე. III. შოთილამ: I II III სოხუმამდი. 4 3 1 მერჩამდი. 20 50 15 50 5 ტაგანროვ. 34 27 8 60 მდესსამდი. 38 30 9 60 IV. ტალეგრავი: მ. კაპ მცი სიტყვა თფილისიდან: მუთისს, შოთს. 1 50 ბორს, დუშეთს, სიდნახს როსტოვს მდესსა მოსკოვს. 2 პეტერბურგს, შარაგას. 2 მსმალეთში, შეიციარიაში 3 იტალიაში და საფრანგეთში. 3 50 ინგლისში. 3 75